საქმე № 010910023900164510

1436745232012

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმე №სსდ-08-23 **22 იანვარი 2024 წელი**
ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

თავმჯდომარე - თეა ძიმისტარაშვილი (მომხსენებელი)
მოსამართლეები - **რევაზ ნადარაია**
გოჩა აბუსერიძე

სხდომის მდივანი - მ--- ჯ------

საჩივრის ავტორი - ადვოკატი დ---- ც---------

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
წარმომადგენელი - თ---- ხ-------

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 20 ოქტომბრის №063/22 გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2023 წლის 17 ივლისს განჩინებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმეზე N-/-------- (მოსამართლე ხ----- ჯ------) და მოითხოვა ადვოკატ დ---- ც--------ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

მიმართვის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა დ---- ც---------მ კლიენტის - ლ--- მ---------ის სახელით სარჩელით მიმართა სასამართლოს. წარდგენილ სარჩელში, რომელსაც ხელს აწერს დ---- ც---------, ადვოკატი დავის ფაქტობრივი გარემოებების გრაფებში მიმართავს კონკრეტულ მოსამართლეს შეურაცხმყოფელი, არაკორექტული ფრაზებით და უპატივცემულობას იჩენს სასამართლოს მიმართ. სარჩელში მოსამართლის მისამართით გამოყენებულია შემდეგი ფრაზები:

„ლოგიკასთან და ჯანსაღ აზროვნებასთან როგორ ხართ?“; „სიჩლუნგესთან ხომ არ გვაქვს საქმე?“; „შენ მართლმსაჯულება ღვეზელების ჭამა ხომ არ გგონია“; „შეუძლებელია ვირწმუნო, რომ ქართული წერა-კითხვა იცი და მოსამართლე ხარ!“; „ვინ გეკითხება ჩემს სასარჩელო მოთხოვნას“; „მოშორდი აქაურობას“ და სხვა.

ადვოკატმა დ---- ც---------მ 2023 წლის 8 აგვისტოს ახსნა-განმარტება წარადგინა ეთიკის კომისიაში, ასევე მონაწილეობა მიიღო 2023 წლის 9 აგვისტოს საპროცესო კოლეგიისა და 2023 წლის 20 ოქტომბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე, სადაც მიუთითა, რომ მოსამართლის განჩინება არის უკანონო, ისევე როგორც ამ მოსამართლის მიერ მიღებული განჩინებები სარჩელზე უარის თქმის თაობაზე და განმარტა, რომ მის მიერ სარჩელში გამოთქმული მოსაზრება და კრიტიკული გამონათქვამები სრულებით ჯდება სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში.

ადვოკატის განმარტებით, მოსამართლე ხ----- ჯ------ს თვითნებობა და სტატისტიკისთვის მოსარჩელის ინტერესების საზიანოდ მართლმსაჯულების განხორციელებაზე უსაფუძვლო უარის თქმა, მას აძლევდა ასეთი შეფასებების გაკეთების უფლებას. მოსამართლე აბრალებდა, თითქოს დავის ფაქტობრივ გარემოებებს ვერ უთითებდა, რაც მისი აზრით რეალობას არ შეესაბამება. ადვოკატმა განაცხადა, რომ არის შეურაცხყოფილი და დათრგუნული, მაგრამ აქვს სამართლებრივი ბრძოლის განწყობა. მის მიერ არჩეული გამოხატვის ფორმა გამოიწვია უსამართლობის შეგრძნებამ და მიუთითა, რომ ფრაზები გამოიყენა კითხვითი ფორმით - სვამს შეკითხვას და ფრაზები არის კრიტიკის შემცველი.

ადვოკატის პოზიციაა, რომ არავითარ კრიტიკას და პროტესტს აზრი არ აქვს. სასამართლო არ იღებს არც ჯანსაღ და არც არაჯანსაღ კრიტიკას და მის მძაფრ რეაქციას შედეგი არ მოჰყოლია. ასეთი ფიქრის საფუძველს აძლევს ფაქტი, რომ ის არასწორად ცნეს სხვა საქმეში სამართალდამრღვევად, თითქოსდა წვრილმანი ხულიგნობის გამო და დააჯარიმეს 2000 ლარით.

ადვოკატმა განმარტა, რომ როდესაც სარჩელი მოამზადა, მიუთითა მოსამართლის - ხ----- ჯ------ს ვინაობა, მაგრამ რეგისტრაციისას ამოაღებინეს იმ მითითებით, რომ სასამართლოს პროგრამა თავად გაანაწილებდა საქმეს. საქმე დაეწერა ისევ ხ----- ჯ------ს. ადვოკატის განმარტებით, მას უნდოდა, რომ სარჩელში მითითებული ტექსტი ენახა მოსამართლე ხ----- ჯ------ს და სარჩელის ფაქტობრივი გარემოება გამოიყენა იმისათვის, რომ სასამართლო გაეკრიტიკებინა მკვახედ. მან ასევე მიუთითა, რომ ტერმინები არ გამოუყენებია გასალანძღად და ეს იყო მისი აღშფოთების ფორმა.
ადვოკატის განმარტებით, მას არ გაუსაჩივრებია 2023 წლის 7 ივლისის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე, რადგან ეს გზა დააკარგვინებდა

უფრო მეტ დროს, ვიდრე სარჩელის თავიდან შეტანა, დრო კი მისი კლიენტის საქმისათვის იყო მნიშვნელოვანი.

2023 წლის 9 აგვისტოს მესამე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ დ---- ც--------ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ საქმეზე უდავოდ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ხ---- ჯ------მ განიხილა ადვოკატ დ---- ც--------ის კლიენტის - ლ--- მ----------ის 2023 წლის 3 ივლისის სარჩელი და 2023 წლის 7 ივლისის განჩინებით საქმეზე N-/-------- მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

2023 წლის 10 ივლისს ლ---- მ---------ის წარმომადგენელმა დ---- ც---------მ თბილისის საქალაქო სასამართლოში კლიენტის სახელით განმეორებით აღძრა სარჩელი (სარჩელს ხელს აწერს ადვოკატი დ---- ც---------). სარჩელში, დავის ფაქტობივი გარემოებების გრაფაში ადვოკატის მიერ მითითებულია ფრაზები:

„ლოგიკასთან და ჯანსაღ აზროვნებასთან როგორ ხართ“?!; „სიჩლუნგესთან ხომ არ გვაქვს საქმე?!“; „შენ მართლმსაჯულება ღვეზელების ჭამა ხომ არ გგონია“; „ განჩინება იმდენად ტრაფარეტული, შაბლონური, მიკერძოებული და არაობიექტურია, შეუძლებელია ვირწმუნო, რომ ქართული წერა-კითხვა იცი და მოსამართლე ხარ!“; „ვინ გეკითხება ჩემს სასარჩელო მოთხოვნას“; „მოშორდი აქაურობას, არა ხარ შენ მოსამართლე!“.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია საქმის მასალების გაცნობისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატ დ---- ც--------ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა. ადვოკატის მიერ დარღვეულია სასამართლოს და პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულება:

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის გ პუნქტი - ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის მონაწილეთა უფლებები;
ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი - ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.

გადაწყვეტილების თანახმად, განხილვის კოლეგიამ გაითვალისწინა ადვოკატის წერის

სტილი და მისი დამოკიდებულებას საკითხისადმი. კოლეგია მიუთითებს, რომ არაეთიკური ქცევა გახდა ადვოკატის სტრატეგია და ადვოკატის განწყობის ფორმირებაზე გავლენა არ მოუხდენია ეთიკის კომისიის მიერ მისთვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიცემულ რჩევას ორჯერ, დისციპლინურ საქმეებზე N065/21, 30.03.2022 წ. და N041/22, 16.03.2023 წ. კოლეგიის შეფასებით, ადვოკატი დ---- ც--------- ვერ აცნობიერებს ჩადენილი ქმედების არაეთიკურ ხასიათს, მისი ქმედებით ადვოკატის პროფესიას მიადგა ზიანი და კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნებოდა. თუმცა, ამავდროულად, მოცემული დისციპლინური საქმიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ მიუთითა, რომ საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა ზედმეტად მკაცრი და არაპროპორციული სახდელი შეიძლება ყოფილიყო მის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან მიმართებით. ადვოკატ დ---- ც---------ს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის არ ჰქონდა შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი.

დისციპლინურ საქმეზე №063/22 დადგინდა ადვოკატ დ---- ც--------ის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა და ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 20 ოქტომბრის №063/22 გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა - დ---- ც---------მ, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ მის მიერ გამოთქმული ფრაზები არის პროტესტის უკიდურესი ფორმა, არ არის შეურაცხმყოფელი და ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება არის უკანონო და დაუსაბუთებელი. ადვოკატი ასევე უსამართლოდ მიიჩნევს მის მიმართ გამოყენებულ დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეს.

სადისციპლინო პალატის 2023 წლის 29 დეკემბრის განჩინებით ადვოკატ დ---- ც--------ის საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად და საჩივრის განხილვა დაინიშნა 2024 წლის 22 იანვარს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა სადისციპლინო პალატის სხდომაზე მოითხოვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატ დ---- ც-------ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 20 ოქტომბრის №063/22 გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს ადვოკატის მიერ მოსამართლის მისამართით სარჩელში გამოყენებული ფრაზები იყო თუ არა შეურაცხმყოფელი და გამოიწვია თუ არა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ხ----- ჯ------მ განიხილა ადვოკატ დ---- ც--------ის კლიენტის - ლ--- მ---------ის 2023 წლის 3 ივლისის სარჩელი და 2023 წლის 7 ივლისის განჩინებით საქმეზე N2/18113-23 მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

ასევე დადგენილია, რომ 2023 წლის 10 ივლისს ლ--- მ----------ს წარმომადგენელმა დ---- ც---------მ თბილისის საქალაქო სასამართლოში კლიენტის სახელით განმეორებით აღძრა სარჩელი (სარჩელს ხელს აწერს ადვოკატი დ---- ც---------). სარჩელში, დავის ფაქტობივი გარემოებების გრაფაში ადვოკატის მიერ მითითებულია ფრაზები:

„ლოგიკასთან და ჯანსაღ აზროვნებასთან როგორ ხართ“?!; „სიჩლუნგესთან ხომ არ გვაქვს საქმე?!“; „შენ მართლმსაჯულება ღვეზელების ჭამა ხომ არ გგონია“; „ განჩინება იმდენად ტრაფარეტული, შაბლონური, მიკერძოებული და არაობიექტურია, შეუძლებელია ვირწმუნო, რომ ქართული წერა-კითხვა იცი და მოსამართლე ხარ!“; „ვინ გეკითხება ჩემს სასარჩელო მოთხოვნას“; „მოშორდი აქაურობას, არა ხარ შენ მოსამართლე!“.

როგორც უკვე აღინიშნა, ძირითად სადავო საკითხს წარმოადგენს ადვოკატის მიერ მოსამართლის მისამართით სარჩელში გამოყენებული ფრაზები იყო თუ არა შეურაცხმყოფელი და გამოიწვია თუ არა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1.2

პუნქტზე, რომლის თანახმად, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. ამავე კანონის მე-5 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები; ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები; არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები. ასევე, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები. ამავე კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით - ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.

მითითებული ნორმების ანალიზისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატ დ---- ც--------ის მიერ დარღვეულია პროფესიული ეთიკის კოდექსისა და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმები, ვინაიდან დ---- ც--------ის მიერ სარჩელში, დავის ფაქტობრივი გარემოებების გრაფაში გამოყენებული კონკრეტული მოსამართლის შეურაცხმყოფელი ფრაზებით, უგულვებელყოფილია პროფესიული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულება, პროფესიული ეთიკის ნორმები და სასამართლოსთან კომუნიკაციის სტანდარტი.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს მიერ, იურიდიულ პროფესიასთან დაკავშირებული სპეციფიური პრინციპები ჩამოაყალიბებულია შემდეგნაირად: ,,სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ იურისტის, როგორც სასამართლოსა და კერძო პირებს შორის შუამავლის, სპეციფიკური სტატუსი, მათ მართლმსაჯულების განხორციელებაში ცენტრალურ პოზიციას ანიჭებს. მათი ამგვარი პოზიციით აიხსნება ადვოკატთა კორპუსის წევრების მიმართ არსებული შეზღუდვებიც. გარდა ამისა, სასამართლოები, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების გარანტები, რომელთა როლიც უმნიშვნელოვანესია კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფოსთვის, უნდა სარგებლობდნენ საზოგადოების ნდობით. იურისტების განსაკუთრებულ როლის გათვალისწინებით, სამართლიანია მათ მიმართ არსებობდეს მოლოდინი, რომ ხელს შეუწყობენ მართლმსაჯულების სათანადო ადმინისტრირებასა და საზოგადოების ნდობის შენარჩუნებას (იხ ასევე საქმე: ,,შოპფერი შვეიცარიის წინააღმდეგ, §29-30. *სტეური ნიდერლანდების წინააღმდეგ* (Steur v. the Netherlands), №39657/98, §36, ECHR 2003-XI, და საქმეში: *ფუჩსი გერმანიის წინააღმდეგ* (Fuchs v. Germany), (განჩინება), №29222/11 და 64345/11, §39, ECHR 2015

დამოუკიდებელი პროფესიონალის სპეციალური როლი მართლმსაჯულების

განხორციელების პროცესში ადვოკატებს მთელ რიგ მოვალეობებს აკისრებს, კონკრეტულად, მათ ქცევასთან მიმართებაში (Van der Mussele v. Belgium, 23 November 1983, Series A no. 70; Casado Coca v. Spain, 24 February 1994, § 46, Series A no. 285-A; Steur v. the Netherlands, no. 39657/98, § 38, ECHR 2003-XI; Veraart v. the Netherlands, no. 10807/04, § 51, 30 November 2006; and Coutant v. France (dec.), no. 17155/03, 24 January 2008). ამ მოვალეობების თანახმად, ადვოკატებს მოეთხოვებთ კორექტული, კეთილსინდისიერი და ღირსეული ქცევა. სანაცვლოდ, ისინი აღჭურვილნი არიან ექსკლუზიური უფლებებითა და პრივილეგიებით, მათ შორის, თავისუფლებით არგუმენტების წარდგენისას სასამართლო დარბაზში (Steur v. the Netherlands, no. 39657/98, § 38, ECHR 2003-XI).

ადვოკატებს, მათი სპეციფიკური სტატუსის გამო, ცენტრალური ადგილი უჭირავთ მართლმსაჯულების განხორციელებაში, როგორც შუამავლებს საზოგადოებასა და სასამართლოს შორის. ამიტომ ისინი თამაშობენ უმთავრეს როლს სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის უზრუნველყოფაში (Schöpfer v. Switzerland, 20 May 1998, §§ 29-30, Reports 1998-III; Nikula v. Finland, no. 31611/96, § 45, ECHR 2002-II; Amihalachioaie v. Moldova, no. 60115/00, § 27, ECHR 2004-III; Kyprianou v. Cyprus [GC], no. 73797/01, § 173, ECHR 2005-XIII; André and Another v. France, no. 18603/03, § 42, 24 July 2008; and Mor v. France, no. 28198/09, § 42, 15 December 2011).

პალატა ყურადღებას გაამახვილებს საჩივრის ავტორის იმ არგუმენტაციაზე, რომ მის მიზანს წამოადგენდა არა მოსამართლის შეურაცხყოფა, არამედ მისი კრიტიკა. მომჩივნის მოსაზრებით, მოსამართლის მისამართით სარჩელში გამოყენებული ფრაზები ჯდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. სასამართლო ვერ გაიზიარებს აღნიშნულ არგუმენტს და მიუთითებს "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტზე, რომლის შესაბამისად, სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს, თუმცა პალატა აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში გამოთქმულმა აზრმა თუ ცალკეულმა ფრაზებმა არ დააზიანოს მესამე პირის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, ასევე არ დააკნინოს ადვოკატის უმნიშვნელოვანესი როლი საზოგადოებაში.

სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, ადვოკატ დ---- ც--------ის მიერ, 2023 წლის 10 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი მარწმუნებელის სახელით შეტანილ სარჩელში გამოყენებული ფრაზები: *„ლოგიკასთან და ჯანსაღ აზროვნებასთან როგორ ხართ“?!; „სიჩლუნგესთან ხომ არ გვაქვს საქმე?!“; „შენ მართლმსაჯულება ღვეზელების ჭამა ხომ არ გგონია“; „ განჩინება იმდენად ტრაფარეტული, შაბლონური, მიკერძოებული და არაობიექტურია, შეუძლებელია ვირწმუნო, რომ ქართული წერა-კითხვა იცი და მოსამართლე ხარ!“; „ვინ გეკითხება ჩემს სასარჩელო მოთხოვნას“; „მოშორდი აქაურობას,*

არა ხარ შენ მოსამართლე!“ - არის არაკორექტული, არაეთიკური, შეურაცხმყოფელი და გამოხატავს აშკარა უპატივცემულობას კონკრეტული მოსამართლის მისამართით, რაც რა თქმა უნდა ვერ მოექცევა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. მსგავსი ტერმინებით გამოხატული აზრი თუ დამოკიდებულება მიუღებელი და შეუფერებელია ადვოკატის პროფესიისათვის, ამასთან, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ სარჩელის შინაარსი და მოსამართლის მისამართით გამოყენებული ტერმინები, ცნობილი გახდებოდა მისი კოლეგებისთვის, სასამართლოში დასაქმებულ პირთათვის, რაც კიდევ უფრო მეტად დააზიანებდა აღნიშნული მოსამართლის სტატუსს და საქმიან რეპუტაციას და შესაბამისად, სასამართლოს ავტორიტეტს.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს აქვს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებთან დაკავშირებით. სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობენ ადვოკატებიც, რაც გულისხმობს არა მხოლოდ მათ მიერ გამოთქმული შეხედულებებისა და გავრცელებული ინფორმაციის შინაარსს, არამედ ფორმასაც, რომლითაც ეს ინფორმაცია და შეხედულებები ვრცელდება (Foglia v Switzerland, no. 35865/04, § 85, 13 December 2007). კერძოდ, აღნიშნული გულისხმობს, რომ ადვოკატებს უფლება აქვთ საჯარო კომენტარი გააკეთონ მართლმსაჯულების განხორციელების საკითხებზე, თუმცა მათი კრიტიკა არ უნდა გასცდეს გარკვეულ საზღვრებს (Amihalachioaie v. Moldova, no. 60115/00, §§ 27-28, ECHR 2004-III; Foglia, v Switzerland, no. 35865/04, § 86, 13 December 2007; Mor v. France, no. 28198/09, § 43, 15 December 2011). ასეთი საზღვრები დაწესებულია ჩვეულებრივი აკრძალვებით, რომლებსაც ითვალისწინებს ადვოკატთა ქცევის კოდექსი სხვადასხვა ქვეყანაში (Kyprianou v. Cyprus [GC], no. 73797/01, § 173, ECHR 2005-XIII), სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადვოკატის „ღირსებას“, „პატივს“, „კეთილსინდისიერებას“ და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის მიმართ პატივისცემას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე არაერთხელ განაცხადა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი ვრცელდება არა მხოლოდ ისეთ ,,ინფორმაციასა“ თუ ,,იდეაზე“, რომელიც საზოგადოებას მოსწონს ან უწყინარი და უვნებელია, არამედ, აგრეთვე, ისეთზე, რომელიც თავზარდამცემი, შეურაცხმყოფელი და შემაშფოთებელია (იხ. Mouvement raëlien suisse v. Switzerland [GC], ნომ. 16354/06, § 48, ECHR 2012 (ამონარიდები)). გარდა ამისა, **გამოხატვის თავისუფლება იცავს არამხოლოდ იდეებისა და ინფორმაციების შინაარსს, არამედ, აგრეთვე, ფორმას, რომლის მეშვეობითაც ხდება მათი გადმოცემა.** სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ გამოხატვის თავისუფლება ექვემდებარება შეზღუდვას, რომლის საფუძვლებიც კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფშია მოცემული. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ დაადგენს, რომ ჩარევა განხორციელდა კანონის საფუძველზე და იგი ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ, სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის შენარჩუნებას, შესაბამისად,

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უნდა განსაზღვროს, იყო თუ არა ჩარევა ,,აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.“ აღნიშნულის განსახორციელებლად, სასამართლომ უნდა შეაფასოს, გამოიყენა თუ არა ხელისუფლების წარმომადგენლებმა მე-10 მუხლის შესაბამისი სტანდარტები და არსებობდა თუ არა **სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის დაცვასა და, მეორე მხრივ, მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებას შორის.** სასამართლოს დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, ზედსართავი სახელი ,,საჭირო“, მე-10 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, გულისხმობს ,,მწვავე სოციალურ საჭიროებას.“ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ შეფასების გარკვეული ზღვარი, არსებობს თუ არა ასეთი მწვავე საჭიროება, თუმცა იგი ევროპულ ზედამხედველობასთან ერთად მოქმედებს და მოიცავს როგორც კანონმდებლობას, ასევე გადაწყვეტილებებს, მაშინაც კი, როდესაც ის დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ არის მიღებული (იხილეთ, Janowski v. Poland [GC], ნომ. 25716/94, § 30, ECHR 1999-I). ეროვნული ხელისუფლების შეფასების ზღვარი მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფის თითოეული მიზნისთვის იდენტური არ არის. მე-6 მუხლთან მიმართებით, როდესაც საუბარია სასამართლო ხელისუფლების ,,ავტორიტეტზე“, უფრო ფართო ევროპული ზედამხედველობა გამოიყენება და ნაკლებია შეფასების დისკრეციული უფლებამოსილება (იხილეთ The Sunday Times v. the United Kingdom (no. 1), 1979 წლის 26 აპრილი, § 59, Series A no. 30).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ფრაზა ,,სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი“ მოიცავს, კერძოდ, იმ მოსაზრებას, რომ სასამართლო საზოგადოების მიერ აღიქმება, როგორც სათანადო მსაჯული, სამართლებრივი უფლებებისა და ვალდებულებების შეფასებისა და წარმოშობილი დავების მოგვარებისათვის; უფრო მეტიც, საზოგადოება პატივს სცემს და ენდობა სასამართლოს შესაძლებლობას, შეასრულოს აღნიშნული ფუნქცია. სასამართლოს საქმიანობა, რომელიც მართლმსაჯულების გარანტორია და რომელსაც ფუნდამენტური როლი აკისრია კანონის უზენაესობის პრინციპზე დაფუძნებულ სახელმწიფოში, საჭიროებს საზოგადოების ნდობას. შესაბამისად, იგი დაცული უნდა იყოს დაუსაბუთებელი თავდასხმებისაგან. **მიუხედავად ამისა, სასამართლოები, ისევე როგორც სხვა საჯარო დაწესებულებები, კრიტიკისა და შენიშვნების მიმართ იმუნიტეტით არ სარგებლობენ.** ამრიგად, მართალია, მხარეებს ნამდვილად აქვთ უფლება, საკუთარი უფლებების დასაცავად, კომენტარები გააკეთონ მართლმსაჯულების აღსრულების თაობაზე, თუმცა მათმა კრიტიკამ არ უნდა გადალახოს გარკვეული ზღვარი (იხილეთ, Saday v. Turkey, no. 32458/96, § 43, 2006 წლის 30 მარტი). **კერძოდ, აშკარად უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან კრიტიკა და შეურაცხყოფა. თუ გამოხატვის ფორმის ერთადერთი მიზანი სასამართლოს ან მისი წევრების შეურაცხყოფაა, შესაბამისი სანქცია, პრინციპში, არ დაარღვევს კონვენციის მე-10 მუხლს. უფრო მეტიც, ადვოკატების განსაკუთრებული სტატუსი, მართლმსაჯულების ადმინისტრირებისას, მათ აყენებს შუამავლის როლში, საზოგადოებასა და სასამართლოებს შორის.** ასეთი პოზიცია განმარტავს ადვოკატთა ასოციაციის წევრების

ქმედებების მიმართ დაწესებულ შეზღუდვებს (იხილეთ, Casado Coca v. Spain, 1994 წლის 24 თებერვალი, § 54, Series A no. 285-A). ადვოკატთა როლი, დაიცვან მათი კლიენტები, მოიცავს მათ არჩევანს არგუმენტების რელევანტურობისა და სარგებლიანობის კუთხით. ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთ სიტუაციაში, სადაც, მათი კლიენტების საუკეთესო ინტერესზე დაყრდნობით, უნდა გადაწყვიტონ, გაასაჩივრონ თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება ან გარკვეული ქმედება. მათ შეიძლება თავი შეზღუდულად იგრძნონ, საქმის მათი კლიენტის სავარაუდოდ საზიანოდ დასრულების კუთხით, შუამდგომლობების არჩევის, საპროცესო შუამდგომლობების და სხვა მხრივ, სასამართლოს წინაშე საქმის განხილვის დროს. იმისათვის, რომ მართლმსაჯულების განხორციელებისას საზოგადოებას ჰქონდეს ნდობა, მათ უნდა სჯეროდეთ სამართლებრივი წარმომადგენლების შესაძლებლობისა, რომ ისინი ეფექტიანად წარმოაჩენენ მათ პოზიციას. აქედან გამომდინარეობს, რომ თუნდაც შედარებით მსუბუქი სანქციის ,,მსუსხავი ეფექტი“, მართლმსაჯულების განხორციელების კონტექსტში, სასამართლოსა და ადვოკატებს შორის შესაბამისი ბალანსის დაცვის მხრივ მნიშვნელოვან გასათვალისწინებელ ფაქტორად მიიჩნევა.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს ასევე საქმეზე *მეისტერი გერმანიის წინააღმდეგ* (Meister v. Germany), სადაც ადვოკატმა შეურაცხმყოფელი განცხადებები გააკეთა მოსამართლეთა და სხვა პირების მიმართ, რომლებიც მოიხსენია იმგვარად, რომ ისინი მოქმედებდნენ არამართებულად სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში; გადაწყვეტილებას *W.R. v. Austria* წინააღმდეგ, სადაც ადვოკატმა, მოსამართლის მოსაზრებას ,,სასაცილო“ უწოდა; Saday-ის საქმეს, სადაც ბრალდებულმა თურქი მოსამართლეები მოიხსენია ,,მანტიით შემოსილ ჯალათებად“; Žugić-ის საქმეს, სადაც მომჩივანმა, საჩივრის მეშვეობით, მოსამართლე ამპარტავან და არაკომპეტენტურ პიროვნებად მოიხსენა, იმისათვის რომ განახორციელოს მოსამართლის საქმიანობა. **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ, მართალია, ადვოკატებს აქვთ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთების უფლება, თუმცა მათმა კრიტიკამ არ უნდა გადააბიჯოს გარკვეულ ჩარჩოებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ სხვადასხვა ინტერესებს შორის ბალანსი უნდა იყოს დაცული, რაც მოიცავს საზოგადოების უფლებას, მიიღოს ინფორმაცია სასამართლო გადაწყვეტილებიდან მომდინარე შეკითხვებთან დაკავშირებით, სათანადო მართლმსაჯულების განხორციელების მოთხოვნასა და იურიდიული პროფესიონალიზმის ღირსებას.**

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის წინასწარი განზრახვა და მიზანი კონკრეტული მოსამართლის შეურაცხყოფისა, იკვეთება ასევე ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში გაკეთებული განმარტებიდანაც, რომლის თანახმადაც სარჩელის ფაქტობრივი გარემოება გამოიყენა იმისათვის, რომ სასამართლო გაეკრიტიკებინა მკვახედ, ხოლო სარჩელის მომზადებისას მიუთითა მოსამართლის - ხ----- ჯ------ს ვინაობა, ვინაიდან

სურდა, რომ სარჩელში მითითებული ტექსტი ენახა მოსამართლე ხ---- ჯ------ს. ადვოკატმა აღნიშნული სადისციპლინო პალატის სხდომაზეც დაადასტურა.

სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, დ---- ც--------ის მიერ სარჩელში დაფიქსირებული ფრაზები შეიცავს არამხოლოდ კრიტიკას, არამედ შეიცავს განმხილველი მოსამართლის პიროვნულ შეურაცხყოფასა და პროფესიული შესაძლებლობების დაკნინებას, რაც ცალსახად ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ვალდებულებებისა და სასამართლოსთან კომუნიკაციის სტანდარტის დარღვევაა. ადვოკატმა ხელი უნდა შეუწყოს მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებას. არ არსებობს რაიმე გარემოება, რაც მიუთითებს, რომ საჩივრის ავტორს არ შეეძლო წარმოებაში მიღებაზე უარის შესახებ განჩინების კრიტიკა მძაფრი ენის გამოყენების გარეშე. სადისციპლინო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის არგუმენტაციას, იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან მოსამართლის მხრიდან განხორციელებული უსამართლო შეზღუდვებით (სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარით) ხელი ეშლებოდა პროფესიული საქმიანობის სრულყოფილად განხორციელებაში და მოსამართლის მოქმედებების შედეგად შეიქმნა არაჯანსაღი გარემო, ამიტომ მისი მიმართვა იყო ემოციური, თუმცა არ იყო შეურაცხმყოფელი და ჯდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში.
სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ მიუხედავად მოსამართლის ანდა პროცესის სხვა მონაწილის მოქმედებით გამოწვეული უკმაყოფილებისა თუ სუბიექტური ან ობიექტური უსამართლო შედეგისა, ადვოკატს გააჩნია პროფესიული ეთიკის ნორმების, კოლეგებთან, სასამართლოსთან და პროცესის მონაწილეებთან კომუნიკაციის წესის დაცვის ვალდებულება. პალატა მიუთითებს, რომ ჩადენილი გადაცდომის საპირწონე და დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი არ შეიძლება გახდეს ის გარემოება, რომ ადვოკატის განაწყენება მისი აზრით უკანონო, უსამართლო გადაწყვეტილების გამოტანამ გამოიწვია. **მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია პროცედურები, რომელთა შესაბამისადაც შეუძლია იმოქმედოს მხარემ იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას. ასევე დასაშვებია გარკვეული კრიტიკაც, რომელიც არ უნდა გასცდეს ზომიერების ფარგლებს. არ დაირღვეს ზღვარი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასა და პირად შეურაცხყოფას შორის. მოცემულ შემთხვევაში კი** ადვოკატმა დ---- ც---------მ, რომელიც რა თქმა უნდა მოქმედებდა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, როგორც თავად მიუთითებს - მოსამართლის მოქმედებით გამოწვეული აღელვებისა და უარყოფითი ემოციების საფუძველზე, უგულებელყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი მოთხოვნები, კლიენტის სახელით წარმოებული სარჩელი გამოიყენა პირადი ანგარიშსწორებისთვის და სარჩელში, დავის ფაქტობივი გარემოებების გრაფაში მიუთითა მოსამართლის მისამართით შეურაცხმყოფელი ფრაზები, რის შედეგადაც

შეილახა როგორც კონკრეტული მოსამართლის პატივი და საქმიანი რეპუტაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ადვოკატ დ---- ც--------ის მიერ, 2023 წლის 10 ივლისს. თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი მარწმუნებელის სახელით შეტანილ სარჩელში გამოყენებული ფრაზები: *„ლოგიკასთან და ჯანსაღ აზროვნებასთან როგორ ხართ“?!; „სიჩლუნგესთან ხომ არ გვაქვს საქმე?!“; „შენ მართლმსაჯულება ღვეზელების ჭამა ხომ არ გგონია“; „ განჩინება იმდენად ტრაფარეტული, შაბლონური, მიკერძოებული და არაობიექტურია, შეუძლებელია ვირწმუნო, რომ ქართული წერა-კითხვა იცი და მოსამართლე ხარ!“; „ვინ გეკითხება ჩემს სასარჩელო მოთხოვნას“; „მოშორდი აქაურობას, არა ხარ შენ მოსამართლე!“* - არის არაკორექტული, არაეთიკური, შეურაცხმყოფელი და ადვოკატის მიერ დარღვეულია **ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის გ პუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის** მოთხოვნები.

რაც შეეხება ადვოკატის შუამდგომლობას დისციპლინური სახდელის შემსუბუქებასა და მის ნაცვლად დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების - კერძო სარეკომენდაციო ბარათის გამოყენებასთან დაკავშირებით, სადისციპლინო პალატას მიზანშეწონილად არ მიაჩნია აღნიშნულთან დაკავშირებით მსჯელობა, ვინაიდან როგორც უკვე აღინიშნა, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების თანახმად, არაეთიკური ქცევა გახდა ადვოკატის სტრატეგია. ადვოკატის განწყობის ფორმირებაზე გავლენა არ მოუხდენია ეთიკის კომისიის მიერ მისთვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიცემულ რჩევას ორჯერ, დისციპლინურ საქმეში N065/21, 30.03.2022 წელი და დისციპლინურ საქმეში N041/22, 16.03.23 წელი. ადვოკატი დ---- ც--------- ვერ აცნობიერებს ჩადენილი ქმედების არაეთიკურ ხასიათს, რომ მისი ქმედებით ადვოკატის პროფესიას მიადგა ზიანი, შესაბამისად, პალატა იზიარებს ეთიკის კომისიის მოტივაციას იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება.

ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კანონის მე-5-მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის, ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის. ამავე კანონის 34-ე მუხლი ითვალისწინებს ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის სახეებს, რომელთა შორის არის

გაფრთხილება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[59] მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სადისციპლინო პალატა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით.

პალატას მიაჩნია, რომ დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად. დ---- ც--------ის მიერ დარღვეულია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონისა (მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (მე-9 მუხლის პირველი ნაწილი) მოთხოვნები, შესაბამისად, ადვოკატის ქმედებას მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია და მართებულადვე დაეკისრა სახდელიც.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს ადვოკატ დ---- ც--------ის საჩივრის დაკმაყოფილებისა და სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[61] მუხლით, 75[62] მუხლით, 75[63] მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 75[64] მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ დ---- ც--------ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2.უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 20 ოქტომბრის №063/22 გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **თეა ძიმისტარაშვილი**

მოსამართლეები: **რევაზ ნადარაია**

გოჩა აბუსერიძე